№ 58
ხუთშაბათი, 16 მარტი 1895

187—1895

# ივერია

№ 58
ხუთშაბათი, 16 მარტი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი№ 227

---

**თავადი კონსტანტინე ივანეს ძე და კნეინა ელისაბედ ნიკოლოზის ასული ბაგრატიონ მუხრან-ბატონნი** იუწყებიან, რომ ნაშთი განსვენებულის

**თავადის ივანე კონსტანტინეს ძის**
**ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისა**

წასვენებულ იქნება მცხეთას ოთხშაბათს, 15 მარტს და მეორე დღეს 16 მარტს დაკრძალულ იქნება მცხეთის ტაძარში. მიცვალებულს სახლიდგან გაასვენებენ 11 1/2 საათზედ, დილით.

(3—6.—3)

---

**„ივერია"**
გამოვა 1895 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტფილისი,**
**„ივერიის" რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

---

ქართული თეატრი
პარასკევს, 17 მარტს,
„ქართველ არტისტების ამხანაგობისაგან
წარმოდგენილი იქნება
I
**უცნობი**
დრამა 3 მოქმ.
II
ალიაქოთი კეთილ-შობილს ოჯახში
კომედია 3 მოქმ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.
ადმინისტრატორი 3. გუნია. რეჟისორი ვლ. ალექსეევ-მესხიშვილი.

---

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**3. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

---

# ახალი ამბავი

—

*** ახლად დაარსებულ სამეურნეო საურთიერთო საზოგადოების წუხანდელს კრებაზედ კენჭ ყრით ამორჩეულ იქნენ შემდგნი: თ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილი—მგეობის თავმჯდომარედ, რომელიც მოუვიდა—26 თეთრი და 3 შა. დირექტორებად: ვას. რ. ყიფიანი—26 თეთრი და 3 შავი. თ. ვ. ს. მიქელაძე—20 თეთრი და 9 შავი.

მართველობის წევრებად ამორჩეულ იქნენ: თავ. ვანე ბარათაშვილი, რაფიელ გაზმგი, ნიკ. ისარლიშვილი, ივანე თუმანიშვილი და თავ. გიორგი ანდრონიკაშვილი

*** გუშინ წინ ღამით, ორბელიანთ კარის ეკკლესია გაუხეხიათ იმ მხრივ, საითაც თვით ორბელიანთ სახლია. ამ მხრივ კედელი თხელი ყოფილა და აი ეს კედელი გაუხვრევიათ.

*** ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის ა. ა. ივანენკოს მიერ წარდგენილი მარშრუტი, თუ როგორ იქნას გამოსვენებული ნაშთი განსვენებულის პ. ა. იზმაილოვისა რკინის გზის სადგურიდგან, ტფილისის გუბერნატორმა თავ. შარვაშიძემ დაამტკიცა. სამგლოვიარო პროცესია წამოვა ვოკზლის ქუჩაზედ, აქედგან ელისაბედის ქუჩაზედ, პროცესია ბა ლის ქუჩიდგან მიხეილის ქუჩაზედ ჩამოვა, გაივლის ვერის ხიდს და [illegible] სასახლის ქუჩიდგან ერევნის მოედანზედ ჩავა. აქ ქალაქის სახლის წინ გარდახდილ იქნება მცირე ლიტია და მერე სამგლოვიარო პროცესია პუშკინის ქუჩაზედა და „სკვერის" გვერდზედ გაივლის. აქედგან საქულბაქოზე ჩაივლის პროცესია და ვანქის ქუჩით მიასვენებენ ვანქის ტაძარში.

*** ტფილისის გუბერნატორის ნებართვით ყველა საამქრო ბაირაღები ვოკზალზედვე მიეგებებიან და აქედგან ვანქის ტაძრამდე მიაცილებენ სამგლოვიარო პროცესიას.

*** სიღნაღიდან გვატყობინებენ, რომ იქაური ძველი საბატონიშვილო ციხე მეტად ცუდს მდგომარეობაშია. სიღნაღში მცხოვრები სომხები კარგა ხანია შეეჩვივნენ ამ ციხეს და ლამის არის ქვა-ქვაზედ აღარ გაუშვან: ანგრევენ აქა-იქ კედლებს და ამ ქვით სახლებსა და თავლებს იშენებენ. ზედ გალავანზედ გაიკეთეს სასაფლაოზედ სავლელი გზა და თავისს მკვდრებს ახლა შიგ გალავანშიაც დაუწყეს დასაფლავება. სომხების ეკკლესიის სამრეკლო გალავნის ერთს ბურჯზედ წამოჭიმეს და მალე, ჩვენის ფიქრით, სრულიად დაეპატრონებიან ამ ნაშთს ძველის ჩვენის დროისას. საკვირველია, რომ აქ მდის ხმა არავინ ამოიღო და ეს წმინდა ნაშთი სომხების გასაოხრებლად გახადეს. ნუთუ, მთავრობა არ არის მოვალე, აღუკრძალოს ეს თვითნებლობა ამ თავკასულს ვაჟ-ბატონებს, რომელიც ბარბაროსობას მოაგონებს ადამიანს და ღირსეულად დაიცვას ის, რასაც თითქმის ყველგან პატივით ეპყრობიან?

---

**გასვენება ტფილისიდგან თ ივანე ბაგრატიონ-მუხრან ბატონისა.**

—

გუშინ, 15 მარტს, გაასვენეს მცხეთისაკენ გვამი თავადის ივანე ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისა. ტფილისის წარჩინებული საზოგადოება, სამსახურის კაცნი და აუარებელი ხალხი დაესწრო გამოსვენებას და კარგა მანძილი გააცილა განსვენებული. დამსწრეთა შორის, გარდა ჭირისუფლებისა, ჩვენ შევნიშნეთ: თავ. ი. გ. ამილახვარი, ტატიშჩევი, შერემეტევის მეუღლე, ტფილისის გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი, ქალაქის მოურავის მოადგილე მდივნითურთ, თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი და სხვანი.

12 საათი სრულდებოდა, როდესაც მიცვალებული გამოასვენეს. კორტეჟს თავში ცხენოსანი რუსის ყაზახები მიდიოდნენ; მათ ჰამქრები მიჰყვებოდნენ თავიანთის ბაირაღებით; ჩვენ 40 ბაირაღი მოვთვალეთ. ჰამქრებს შუა ხატები და ჯვრები მიჰქონდათ; მათ უკან 10 ოფიცერს 5 ხავერდის ბალიშზედ განსვენებულის ორდენები ეჭირათ ხელში. ამათ შემდეგ მიდიოდნენ ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოწაფენი, ინსპექტორისა და მასწავლებლების თანადასწრებით. ამათ წინ მოსწავლეთა ხორო მიდიოდა, რომელიც ქართულად ამბობდა გალობას. სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოწაფეებს ვ. კარბელაშვილის ხორო მისდევდა და ამას კიდევ ეგზარხოსის ხორო, რომელიც რუსულად ამბობდა გალობას. კუბოს სამღვდელოება მიუძღოდა, რიცხვით 30-მდე; მათ შორის ეპისკოპოსნი ალექსანდრე და ბესარიონი ბრძანდებოდნენ. კუბო ხელით თავად აზნაურობის წარმომადგენლებს ეჭირათ. პატარა ხანს კუბო გადახდილი იყო განსვენებულის სახე ძლიერ გამოცვლილი გვეჩვენა. სამგლოვიარო ეტლი გარშემო გვირგ·

---

# ფელეტონი

—

**ჩემს ხანჯალს.**

—

მიყვარხარ, ჩემო ხანჯალო,
სადავ და ბასრო-ფხიანო,
ფოლადო ცეცხლში გაწვრთნილო,
მორჩილო, ლაზათიანო.

—

მიყვარხარ არა იმისთვის,
რომ მტერი ვჩეხო შენითა..
მე განა მინდვრის სვავი ვარ,
გავძღე სისხლით და ლეშითა?!

—

მიყვარხარ მიტომ, მაგონებ
შენსავით ბასრსა ენასა,
ორგულს რომ მკერდში ესობა,
მტერს რომ მოუშლის ლხენასა!

ი. ევდოშვილი.

---

**ორიოდე სიტყვა „კვალის" პუბლიცისტს.**

წარსულს წერილში „კიდევ ერთი უკუღმართობა „კვალისა" ჩვენ განვიხილეთ სამი საგანი: ა, დავუმტკიცეთ „მცირე შენიშვნის" ავტორს, რომ ის ცილს სწამებს „ივერიას", როდესაც ამტკიცებს, რომ ბ-ნ ვ. წ.-ს და «ივერიის» შეხედულებათა შორის, შესახებ იაფის კრედიტისა, სრული თანხმობა არსებობსო; ბ, განვმარტეთ, რომ კრედიტის საქმე ისე მარტივი არ არის, როგორც „კვალს" ჰგონია და რომ იაფი კრედიტი ვერ დაამყარებს ჩვენში სასურველს ეკონომიურს კეთილ-დღეობას და გ, გავაფრთხილეთ „კვალის" პუბლიცისტი შესახებ ლანძღვა-გინებისა.

ჩვენის წერილის პასუხად „კვალის" პუბლიცისტს ამ კვირის „კვალის" ნომერში კიდევ დაუსტამბავს პატარა შენიშვნა. ზემო-აღნიშნულს სამ წინადადებათა წინააღმდეგ ეს შენიშვნ სრულიად აღარას ამბობს. მაშასადამე არსებითად ბაასი ამით უნდა გათავებულიყო, მაგრამ ხომ იცით, რომ უკანასკნელი სიტყვა უთუოდ დინჯმა და გამოცდილმა პუბლიცისტმა უნდა გამოსთქვას! ეს გარემოება ჩვენ ვიცოდით და ამიტომ მივეცით კიდეც „კვალის" პუბლიცისტს «უკანასკნელის სიტყვისთვის» შესაფერი მასალა: ვურჩიეთ საფუძვლიანად აეხსნა იაფი კრედიტის მნიშვნელობა ჩვენის ქვეყნისათვის და პასუხი გაეცა ბ-ნის ვ. წ.-ს მოსაზრებათათვის. „კვალის" პუბლიცისტს ეს არ უნებებია და თავისი შენიშვნა ჩვენის ვინაობისა და პირადობისათვის უძღვნია. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკამათო საგნის შესახებ, კიდევაც რომ მოინდომოს ავტორმა, მაინც ვერას იტყვის, რადგან ჩვენს „სამეცნიერო ჟურნალს" კარგა ხანია შემოკლებული აქვს საფანელი. რომ ეს მართალია, ამას ეხლავ დავამტკიცებთ. ბ-ნი ვ. წ. ეუბნება „კვალის" პუბლიცისტს: „მიზეზი ვალის გარდახდის შეუძლებლობისა ძლიერ ღრმა არის, რომ „კრედიტის" სიიაფით გასწორდეს საქმე". ეს საქმე, რომელიც უნდა გასწორდეს, არის—დახსნა მევახშეების ხელიდგან გლეხობისა და თავად-აზნაურობის მიწა-წყლისა და შერჩენა ამ მიწა-წყლისა მიწის მუშათა და მეპატრონეთა ხელში. ამის პასუხად „კვალის" პუბლიცისტი ბრძანებს მხოლოდ შემდეგს: „ჩვენ ვურჩევთ ამისთანა მევახშეების ხელში დატყვევებულ სამეურნეო და სამრეწველო წარმოებას, შეერთებულის კაპიტალის ძალით იბრძოლოს და ვაწვდენთ მათ იაფ კრედიტს ამის გულისათვის". ეს ხომ ცარიელი სიტყვებია და არა დამტკიცება.

კაცს ეუბნებიან, რომ იაფი კრედიტი ვერ იხსნის ჩვენს მემამულეთ „კაპიტალის" კლანჭებიდგან, ის-კი თუთიყუშივით გაიძახის: „იაფ კრედიტს თუ მივაწვდენთ, დაიხსნისო"! კაცს ეუბნებიან, რომ „კაპიტალიზმის" ტენდენცია ის არის, რომ უმცირესობის ხელში შეაგროვოს უმრავლესობის სიმდიდრე, რომ კაპიტალიზმის ამგვარს კანონებს, თუ მათი მოქმედება დაიწყო რომლიმე ქვეყანაში, ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებსო, იმას-კი დაუჟინია იაფი კრედიტი უშველისო! კაცს ეუბნებიან, რომ თქვენ მიერ იაფის კრედიტით შექმნილი შეერთებული ძალა კაპიტალისა თავის-თავად შეიქნება მჩაგვრელ ძალად ხალხისთვის, ის მაინც ჩასციებია იაფს კრედიტს. ერთხელ კიდევ ვიწვევთ „კვალის" პუბლიცისტს მისცეს ბ. ვ. წ.-ს არსებითად პასუხი, თუ შეუძლიან რასაკვირველია; თუ არა-და, მაშინ უმჯობესი იქნება ცარიელ სიტყვის რახა-რუხს თავი დაანებოს!

ორიოდე სიტყვა იმის გამო, თუ რას ამბობს „კვალის" პუბლიცისტი კერძოდ ჩვენ შესახებ: „ამას წინად მა (ლალმა) ცხადად დაგვიმტკიცა ახლანდელი საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების უცოდინარობა იმითი, რომ რადიკალებთა პარტიას სოციალ დემოკრატებათ აღიარა". არ ვიცით რა სახელი დაა[illegible] ამ საქ[illegible]. მიგვინდვია მკითხველისთვის გამოცნობა იმისი—რა არის ეს—„ხ[illegible], ინსინუაცია, სიტყვის ბანზედ აგდება", თუ უბრალო და უნებური სიცრუე. ჩვენის მხრით გავახსენებთ მკითხველებს, რომ „კვალის" პუბლიცისტმა ოპპორტუნისტთა პარტიას უწოდა პროგრესიულ-დემოკრატიულ დასის სახელი (იხ. „კვალი" მე-7 ნომერი); ჩვენ-კი „ივერიის" მე 31 ნომერში ნათქვამი გვაქვს: «...დღეს ამ ორს ბანაკს შუა გამწარებული ბრძოლაა. პირველს ბანაკს შეადგენენ ყველა ბურჟუათა პარტიები რადიკალებიდგან დაწყებული ლეგიტიმისტებამდე. ყველა ეს პარტიები რეაქციის პარტიებია, მათი მოწინააღმდეგენი—გობლეს დასიდგან დაწყებული უკიდურეს სოციალისტებამდე შეადგენენ პროგრესიულ პარტიებს დემოკრატიისას".

შემდეგ ბ-ნი მაზაკვალი გვესაყვედურება, რომ ჩვენ ანბანურს ჭეშმარიტებას ვქადაგებთ შესახებ ძირეულის ეკონომიურს რეფორმებისა: ეს მესამოცე წლებში მწე-

ვინებით იყო მორთული. მათ შორის შევნიშნეთ საქართველოს თავად-აზნაურობისაგან მირთმეული ვეცხლის გვირგვინი; სათავად-აზნაურო სასწავლებლისაგან, ერივანის პოლკისა და გენ. რეიტერისა—ორივე წმ. გიორგის ლენტებით; ქალაქის გამგეობისა; დ. სარაჯიშვილისა, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სახლის მდგმურებისაგან, ტფილისის კლუბისაგან, სენაკის მაზრის მარშლისაგან და სხვ. ეტლს ჯარი მოსდევდა; 1 ბატალიონი მინგრელსკის პოლკისა ბაირალითა და მუსიკით და ერთი ბატალიონი გრენადერის ბრიგადისა. პარადს გენერალი კოზლოვსკი ჰსარდლობდა. ჯარმა და ხალხმა კუბო თითქმის ვერის ყაზარმამდე მიაცილა, საიდგანაც ცხედარი მცხეთისაკენ წაასვენეს.

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება.

14-ს მარტს მოხდა სამეურნეო საზოგადოების კრება. ამ კრებას ჰთავმჯდომარეობდა ბ. ქალანთარი. თავმჯდომარემ განუცხადა საზოგადოებას გარდაცვალება ქალაქის მოურავის პ. ა. იზმაილოვისა და თავ. ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონისა და, განმარტა-რა მოღვაწეობა და ერთობ ჩვენის ქვეყნისადმი სამსახური ამ ორთა გადაცვალებულთა, თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, პატივი-ეცა თავის მხრივ. კრებამ ფეხზედ ადგომით სცა პატივი და გადასწყვიტა საზოგადოების სახელით დაედვას ორთავეს გვირგვინი, რომლისათვის გადაიდოს ასი მანეთი.

შემდეგ ამისა კრება შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ წრეულ, კვლავინდელ წლებისამებრ, უნდა გაიმართოს 1 აპრილს ცხენების გამოფენა დიდუბეში, რისთვისაც საჭირო ხუთი თუმანიო. კრებამ გადასწყვიტა—გადაიდოს მოხსენებული ფული.

შემდეგ თავმჯდომარემ განუცხადა კრებას, რომ სამეურნეო საზოგადოების განყოფილება, რომელიც ქუთაისში იმყოფება, ითხოვს იმ შემწეობის მომატებას, რომელსაც დღევანდლამდე იღებდაო. ეს შემწეობა არის 500 მანეთი წელიწადშიო. კრებამ ვერ იცნო შესაძლებლად ამ ფულის მომატება და დაადგინა, რომ დაევალოს საზოგადოების განყოფილებას, თავისის მოქმედების სრული ანგარიშები წარმოგვიდგინოს ხოლმე; ამ ანგარიშს ჩვენსაში მოვაქცევთო.

შემდეგ ამისა კრებაზედ უცხო ქვეყნების სამეურნეო ჟურნალების გამოწერის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი.

კრებაზედ ორ-გვარი აზრი გამოითქვა. ერთნი ამბობდნენ, რომ აი რამდენი ხანია ჩვენს ჟურნალში ვერაფერს კომპილიაციებს უცხო ჟურნალებიდგან ვერა ვხვდებოდით, თუმცა უცხო ქვეყნის ჟურნალები მოგვდიოდაო დღემდე და მაშასადამე რომ არ გამოვიწეროთ, დიდი არა იქნება-რაო. მეორენი-კი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ეს ჟურნალები საზოგადოების წევრთათვის ძლიერ საჭიროაო. კრებამ დაადგინა კვლავ გამოიწერონ ხსენებული ჟურნალები.

შემდეგ ამისა კრებას მოახსენა თავისი განცხადება ბ-ნმა მრევლიშვილმა სამიწათ-მოქმედო იარაღების საწყობის გამართვის შესახებ საზოგადოებასთან. ეს მოხსენება წარედგინას აზოგადოების საბჭოსათვის წარსულის წლის დეკემბერში. საზოგადოებას მიწერ-მოწერა გაემართა სამიწათ-მოქმედო იარაღით მოვაჭრეებთან და საჭირო ცნობები შეეკრიბა. ათზე მეტ მოვაჭრეთაგან მოჰსვლოდა პასუხი საზოგადოებას, რომ იგინი მზანი არიან ნისიადაც დაუთმონ ხოლმე იარაღები და 15—20% დაუკლონ კიდეც. ბ-ნ მრევლიშვილის რეფერატში ის აზრი იყო გამოხატული, რომ ადგილობრივი მოვაჭრეები ბევრს მოგებას იღებენ, თავათ მე, სთქვა მრევლიშვილმა, ცხრა თუმნიანი გუთანი ოც თუმნამდე დამისვესო. საზოგადოების აზრი ის უნდა იყოს, რომ გავავრცელოთ ხალხში კარგის კონსტრუქციი გუთნები, მეორეც ისა, რომ ნაწილ-ნაწილ ფას გადახდით მივყიდოთ მეურნეთა, შევაძლებინოთო. ნდა ვიქონიოთ მხოლოდ ის გუთნი, რომლეც ჩვენ თავად უნდა ჩავცადოთო. კრებამ ეს რეფერატი იილო ასასრულებლად და რომ ნათლად გამოირკვეს კომერციული მხე საგნისა, ცალკე კომისია ამოირჩეს. კომისია შესდგა შემდეგის წევრისაგან: მრევლიშვილისა, პონიატსკისა, სპენევისა, ეირანოვისა, აიბეგოვისა და ხანანოვისაგან. დამსწრეთ რეფერანტს მადლობა განუცხადეს და თორმეტის ნახევარზედ დაშლნენ.

## წერილი პროფესორის თავ. თარხნიშვილისა.

გაზეთ „ნოვ. ვრემ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი პროფესორის თავ. თარხნიშვილისა: „თუმცა არ მეწადა ოფიციალურად მედღესასწაულნა ჩემი ოცდა-ხუთის წლის იუბილე, მაგრამ ორა და სამს მარტს იმდენი გულ-მხურვალე და პატივისცემით აღსავსე მილოცვანი მივიღე, რომ არ შემიძლიან დავსდუმდე და არ ვუპასუხო, ვინც ჩემს მცირე ოცდა-ხუთის წლის შრომა და მასწავლებლობის ღვაწლი გაიხსენა: გულითა და სულით მადლობას ვუცხადებ უპირველეს ჩემს მოწაფეებს, აკადემიის სტუდენტებს, რომელთა დახვედრაც იმდენად წრფელი, იმდენად გულ-მხურვალე იყო, რომ ცრემლები ველარ შევიმაგრე. დიდადა ვმადლობ ჩემს მოწაფე ექიმებს და აგრეთვე ექიმებს რუსეთის სხვა-და-სხვა სამკურნალო დაწესებულებათა, აგრეთვე ჩემს ამხანაგებს პროფესორებს პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებისას, პროფესორებს დიდის მთავრინა ელენე პავლოვნას სამკურნალო ინსტიტუტისას და საქალებო კურსსებს. მადლობას მოვახსენებ სხვა-და-სხვა სამკურნალო მწერლობის ორგანოებს, სხვა-და-სხვა სწავლულთა საზოგადოებას და კერძოდ ექიმთა საზოგადოებებს, როგორც რუსეთში, ისე საზღვარ-გარეთ, რომელთაც ორს მარტს მომიგონეს და თავისი პატივის-ცემა გამომიცხადეს, ან მილოცვით ან თვის საზოგადოების საპატიო წევრად ამორჩევით.

გულითადს მადლობას ვუძღვნი იმ ქალაქის დაწესებულებათა და გამგეობათა, რომელთაც ამ დღეს მილოცვით მომიგონეს. გულ-მხურვალე მადლობას წარმოვუძღვნი ქართველთა თავად-აზნაურობას, რომელთაც ამ ჩემთვის დაუვიწყარს დღეს გამიხსენეს. ფას-დაუდებელი ჯილდოა ჩემთვის ამისთანა თანაგრძნობა.

## კორესპონდენცია.

**თიანეთი.** ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების მიერ ჩვენში დაარსებულია სკოლა. საზოგადოებას დაქირავებული ჰყავს თავისის ხარჯით ამ სკოლისათვის ერთი მასწავლებელი, სემინარიაში სწავლა-შესრულებული და აგრეთვე ადგილობრივი მღვდელი, (მე აქ არ ვეხები სადურგლო განყოფილების მასწავლებელს და აგრეთვე საქალებო განყოფილების მასწავლებელს რომლებიც ამავე საზოგადოებისაგან იღებენ ჯამაგირს). მასწავლებელს აქვს დავალებული ასწავლოს შეგირდებს საგნები გარდა საღმრთო წერილისა, რომლის სწავლებაც ადგილობრივის მღვდელ-ბლაღოჩინ კოშორიძეს ვალია. მაგრამ რამდენად კეთილ სინიდისიერად ასრულებს მამა კოშორიძე ამ თავისს მოვალეობას ამას შემდეგში დავინახავთ. აგერ მეშვიდე თვე მიდის, ენკენისთვეს აქეთ, სკოლა საღმრთო სჯულის უმასწავლებლოდ არის მიტოვებული, ამ ხნის განმავლობაში მამა კოშორიძეს ორჯელ არ შეუდგავს სკოლაში ფეხი გაკვეთილების მისაცემად. იქნება იფიქროთ, შეიძლება სხვა მასწავლებელმა იკისრა ამ საგნის სწავლებაცაო. უბედურებაც ეგ არის, რომ არც იმას უკისრნია, რადგანაც თავისს გაკვეთილებსაც ვერ აჰსვლია და ეს უპირველესი საგანი ხალხის ზნეობის გამასპეტაკებელი უყურადღებოდ არის დატოვებული.

რას უნდა მიეწეროს ასეთი მისი გულგრილობა, რად უფრთხის მამა კოშორიძე ამ მეორე ტაძარს ღვთისას. დავიჯეროთ, იმდენად არის დატვირთული თავისს სამრევლო საქმეებით, რომ არ შეუძლიან სკოლას თავისს დროზედ მოჰხედოს? სხვა მღვდლებსაცა აქვთ სამრევლოები; ნეტა ისინი როგორ-და ასწრებენ სკოლებში სიარულს, ან რა უნდა ქნან ქალაქის მღვდლებმა, რომელთაც მრევლიც მრავალ-რიცხოვანი აბარიათ და სკოლებიც უკეთესი. თუ არ შესწევს იმდენი ძალ-ღონე, რომ ერთსაც გაუძლვეს და მეორესაც, ხელს რატომ არ აიღებს სწავლების სასყიდელზედა და სხვას ვისმე არ გადასცემს ამ საგნის სწავლებას?

ზევით ვსთქვი, რომ კოშორიძეს თითქმის შვიდის თვის განმავლობაში ორჯელ ფეხი არ შეუდგამს-მეთქი სკოლაში; საუბედუროდ არც წინა წლებში უკეთებია რამე. შარშანდელსა და შარშანწინდელს სამოსწავლო წლებშიაც არ გვინახავს, რომ კოშორიძეს ერთხელ ფეხი შეედგას კლასსებში; მხოლოდ მაშინ დაესწრებოდა ხოლმე, როცა მამა ლეონიდი მობრძანდებოდა ეგზამენიებზედ, ან სარევიზიოდ. მკითხავთ, ვინ ასწავლიდაო? მოგახსენებთ.

ადგილობრივი მთავარ-დიაკონი ონ. ხიზანაშვილი თითქმის მთელი ორი წელიწადი ასწავლიდა საღმრთო სჯულს კოშორიძის მაგიერად და არაფერი ჯილდო-კი არ ეძლეოდა ამ შრომისათვის. სინიდისის ქვეშ უნდა ვსთქვათ, რომ ხიზანაშვილი მეტად ბეჯითად ეკიდებოდა ამ კეთილს საქმეს: შეგირდებმა მშვენიერად შეისწავლეს საღმრთო ისტორია, რაც ცხადად დამტკიცდა ეგზამენიებზედ გამოცდის დროს. მაგრამ მთავარ ხიზანაშვილსაც მოსწყინდესა უსარგებლო შრომა, გული აუცრუვდა და იმანაც შესწყვიტა შეგირდების სწავლება. ან-კი ვინ დაემდურება, პირ-იქით იმ შრომისა და ღვაწლისათვის, რაც მან სკოლას დასდო, დიდის მადლობის ღირსია. აი, ასეა სკოლის საქმე დაყენებული დ.

---

რლობამ უკვე გაარკვიაო. დახედეთ ამ ვაჟბატონს! ამას წინად, როდესაც თავისს მიმართულებას გვირკვევდა, მესამოცე წლების მწერლობა სრულიად დაივიწყა! ჩვენის განვითარების ისტორია მეოთხმოცე წლებიდგან დაიწყო, ახლა-კი გვარწმუნებს, რომ მესამოცე წლების მწერლობა სოციალისტურ საგნების ლექვაში იყოო! ეს, რასაკვირველია, შესაძლებელი საქმეა, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ „ლექვისთვისაც“ ვერ მოუკრავს ყური „კვალის“ პუბლიცისტს, ასე რომ ნამდვილი ამბის თქმა შეეძლოს ვისმესთვის. ასე რომ არ იყოს, ბ. მაზაკვალი ფერხულს არ დააბამდა იაფ კრედიტის გაგონებაზედ და ვ. წ.—ის იჭვიანობას კრედიტის შესახებ სასაცილოდ არ აიგდებდა...

როდესაც ჩვენ, განაგრძობს მაზაკვალი, ამ საგნების ლექვაში ვიყავითო, თქვენ, ლალო, მაშინ ჩილიკობას თამაშობდითო. ეს, რასაკვირველია, მართალია, ბ-ნო მაზაკვალო, მაგრამ განა, ეს ამტკიცებს რასმე?.. თქვენ მაინც ამის გამო არაფერი გეთქმისთ, ბ-ნო პუბლიცისტო, სხვა რომ არა იყოს-რა უმადურებას და გულ-მავიწყობას დაგწამებენ—გაიხსენეთ კარგად—ამას წინათ არ ჰბრძანებდით, რომ განსვენებულის ნინოშვილის საფლავზედ წარმოთქმულმა „სიტყვებმა“ აგიხილათ თვალები? ეს „სიტყვები“ ეკუთვნის ყმაწვილებს, რომელნიც დაბადებული არ იქნებოდენ, როდესაც თქვენ პუბლიცისტობა დაიწყეთ...

რაიცა შეეხება თქვენს მუქარას, რომ ხმას აღარ გაგვცემთ, გარწმუნებთ, „კვალის“ პუბლიცისტო, რომ ამით არც ჩვენ და არც ჩვენს მკითხველებს არაფერი დაგვაკლდება. და იქნება არც თქვენსას დააკლდეს ბევრი რამ?!

ლალი.

## ბებიას ნაამბობი.

ჩემი პირველი ქმარი—ღმერთმა აცხონოს და სასუფეველი, განსვენება დაუმკვიდროს იმ ქვეყანას, სადაც მართალნი განისვენებენ—ნაქები ვაჟკაცი იყო, მაგრამ ჩემმა მხურვალე-მინაზებულმა სიყვარულმა, საარაკო სილამაზემ და რჩევა-დარიგებამ უფრო გაამხნევა და ერთი-ათად აქცია. არც მე გამიშვა იმი სიყვარულმა შეუცვლელად: გაუშლელი კოკორი ვიყავ ბროლ-ლალისა და იმის ალერსიან ხვევნა-კოცნით მაისის ვარდსავით გავიშალე, სიცოცხლით ავივსე და მაშინ დამიტკბა სამოთხესავით მთელი ცა და ქვეყანა. როცა ის დილით მინდორში წავიდოდა, ჩამავალ მზესავით ვქრებოდი და საღამოზედ რომ მოვიდოდა—ამომავალ მზესავით ვენთებოდი, გაზაფხულის მერცხალივით ვჭიკჭიკებდი, წყალ-წყალა ჩიტივით დავცქრიალებდი ცისარტყელასავით დახატული ეშხიანი გოგონა, ცათა ფრინველს ვეკიდებოდი მეტის სიხარულით და მასკლავებს ვეთამაშებოდი ზეცაში. მივართვი-ყე ლამაზი ვახშამი, ამოუღი-ყე სკივრიდგან სატკბილობელი, პეპელასავით თავს ვევლებოდი, და მინამ იმი ყელზედ მოხვევნას ვეღირსებოდი, იგრე ძალზედ მიძგარძგარებდა გული, იტყვი ეს არი ბუდიდგან გადმოვარდნას აპირობსო. ი, ღმერთო, მადლობა შენთვინ, თვეები და წელიწადები ერთმანეთს მიჰდევდნენ აქლემებივით, მაგრამ არ იქნა და არა, მე იმი სიყვარულით გამძღარი და გულ-ნასრულები ვერ შავიქენ. ერთი კვირა რომ სადმე მაჰგვიანებოდა, მოწყვეტილ ვარდივით ვჭკნებოდი, ძველ მთვარესავით ვილეოდი, ერბოსავით ვდნებოდი, ჭრაქივით ვიწვებოდი და, ნურას უკაცრაოდ, ჩემი შვილები ხართ, მოუსვენარი სიყვარულით გაგიჟებულს თვალზედ ძილი არ მეკიდებოდა და სუ გველივით ვიკლაკნებოდი გათენებამდინ ქვეშაგებში ადუღებულ რკინასავით გავარვარებული. იგეთი თვალადი, ტანადი, გონიერი, გულადი და გულ-ვარდი რამ იყო ი ნათლით შამოსილი, რო იმი ყურებით ვერ გაძღებოდა ვერც ერთი მანდილოსანი, თავთავ-წასხმულ ოქროს ყანასავით აუღელდებოდა სიყვარულის სურვილით ანთებული გული და ათას რასმე ღვთის საწყენს გაივლებდა გულში თავის უნებურად. რო ეთქვა ანთებულ საკირეში ჩავარდიო, წარბშაუხრელად ჩავვარდებოდი, იგრე ენით-გამოუთქმელად მიყვარდა და პატივსა-ვცემდი იმი მადლიან ჭკვა-მარჯვენას და ყველასათვინ კეთილ გულს და აი ეხლაც-კი მოხუცებაში იმი სიყვარული იგრევ გულზედ მაწევს უკვდავ-უბერებლად და ვერ გადმიგდია. იგრე სათუთად ვუვლიდი და ვუფრთხილდებოდი ყველაში, როგორც ჩემს ორთავ თვალის სინათლეს და საარაკო სილამაზეს, და იგრე ძალზედ გაგიჟებით ვუყვარდი იმასაც, იმ ცხონებულს, როგორც სიცხე პაპანაქებით სულ-შახუთულს მუშა-მომკალს—გრილი ნიავი და ცივი წყარო. ვიშ, შენ დაილოცე ღმერთო უფალო, აფსუსი არ იყო იმისი სიკვდილი! იგეთი მხნე, გულ-ძლიერი, ჭკვა-დამჯდარი, უწყინარი, ტკბილი ენა-პირისა, ნამუსიანი ღვთიანი რამიყო, იტყვი ქრისტე ღმერთთან უცხოვრია და იმას დაურიგებია ჭკვაზეო. თითო იმისთანა სამახსოვრო მარგალიტი სიტყვა იცოდა იმ სულ-განათლებულმა, რო ეშმაკსაც ანგელოზად აქცევდა-ყე. სუ ის გინდოდა იმას ელაპარაკნა გაუწყვეტლივ, შენ-კი ყური გეგდო და გამძღარიყავ იმი ჭკვიანური სიტყვების სმენით. ვისაც ადრე სიკვდილი უნდა—ლოთობას მიჰყოს ხელიო, ვისაც დიდხან სიცოცხლე—ყველაში ზომიერად მაიქცესო; ვისაც სიღარიბე უნდა—გაძღეს და მიიძინოსო; ვისაც სიმდიდრე—წამოხტეს და იმუშაოსო, და ვინ მაჰთვლის რა სიტყვებით არ წაახალისებდა კეთილ საქმეში ცრუს და მავნეს. მოუღალავ მუშაობაში ხო ცალი და ბადალი არა ჰყავნდა იმ ცხონებულს. ღმერთო! ნათლის გვირგვინი დააყენე სამოთხეში იმ სულ-კეთილს ჩემს პირველა გვირგვინის ქმარს!.. სისხლის ოფლის

[თბ]იანეთში, რომელიც ცენტრია მთელის მაზრისა. ეს აქ და ვინ იცის რა ხდება უფრო მიყრუებულ სოფლის სკოლებში?

იმედია, ყურადღებას მიაქცევს, ვიდრე ჯერ არს და ამ უწესოებას ბოლოს მოუღებს.

## რუსეთის ცხოვრება.

—

როდესაც გზათა მინისტრი კრივოშეინი სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა, უმაღლესის მთავრობის ბრძანებით დაინიშნა კომისია, რომელსაც უნდა მოეხდინა რევიზია გზათა სამინისტროს საქმეებისა. გაზეთი „მოსკ. ვედ.“ ამბობს, რომ ამ კომისიას მალე დაითხოვენ და რევიზია აღარ მოხდებაო.

—

სახელმწიფო საბჭოს წარედგინა ამ დღეებში ახალი წესდება აფთიაქისა და მეაფთიაქეთა შესახებ. წესდება შეუდგენია შინაგან საქმეთა სამინისტროში სამკურნალო დეპარტამენტს. სხვათა შორის ახალი წესდება სავალდებულოდ ჰრაცხს—შეამციროს ებრაელთა მიღება აფთიაქში. ამ ნაირად ებრაელთ რუსეთში კიდევ ერთი სამოქმედო ასპარეზი დაეხურათ.

—

ოდესის გაზეთების სიტყვით არც წელს და არც მერმის ოდესაში სამკურნალო ფაკულტეტის გახსნას არ უნდა მოველოდეთო. ასე რომ, სატახტო ქალაქების გაზეთები უდროოდ მიეცენ სიხარულსაო. ჯერ თურმე ნება-რთვაც არ გაუცია მთავრობას ამ ფაკულტეტის დაარსების შესახებ ოდესაში.

—

იმავე გაზეთების სიტყვით გაზაფხულზედ კვლავ შეუდგებიან შარშან დაღუპულის გემის „ვლადიმირის“ ძებნას. ამ საქმეს ხელს ჰკიდებს ტეხნიკი ზაკოვენკო, რომელსაც გაუკეთე ია ელექტრონული ფანარი ზღვაში სახმარებლად გამოსადეგი.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** ინგლისის გაზეთი „Times“-ი ამბობს: სიფრთხილე მოითხოვს დიდის ყურადღებით გადაისინჯოს სომეხთაგან წარმოდგენილი ყველა ფაქტები და უფრო ღრმად ჩაუკვირდნენ მოწმების ჩვენებას. სომეხთა თავ-მოყვარეობა იქამდის მივიდა, რომ არა მგონია ისინი დასთანხმდნენ მცირე რამ ცვლილებას. უფრო მოსალოდნელია, რომ მომეტებული ნაწილი თავისს კარმიდამოს მიატოვებს, ან არა და რევოლიუცია მოხდება, რაც ხელ-ახლად გამოიწვევს შეუბრალებელსა და მხეცურს ძალმომრეობას ოსმალების მხრივ.

—

**საფრანგეთი.** 18 მარტს (ახ. სტ.) დიდის ამბით იდღესასწაულეს სოციალისტებმა კომუნის დღე. პროვინციაში და პარისში ბევრი ბანკეტი—კრება გაიმართა. უმთავრესი ბანკეტი გაიმართა პარისში დარბაზ „Ami-Poloche“-ში. აქ იყვნენ პარლამენტის ხუთი დეპუტატი, რომელთაც შესაფერისი სიტყვები წარმოსთქვეს. ხალხი ალტაცებით ისმენდა დეპუტატების სიტყვას დ ალტაცებით გაიძახოდა, კომუნას გაუმარჯოსო. დიდი კრება იყო კიდევ ახლად დაბრუნებულის ანრი როშფორის თავმჯდომარეობით. გაზეთები ამბობენ, რომ დიდი ხანია ასეთის ამბით არ უდღესასწაულნია ხალხს კომუნაო!

—

**ამერიკის შეერთებული შტატები.** როგორც 1890 წლის ანგარიში ის იღწერიდგანა სჩანს, ამერიკაში დროგამოშვებითს გამოცემებზედ ზედმიწევნით 126 მილლ. დოლლარი დახარჯულა, ანუ 250 მილლ. მანეთი. ჟურნალ-გაზეთობაში მუშაობს 106,095 კაცი, რომლებიც წლიურად გასამრჯელოში 68 მილლ. დოლლარს იღებენ. მასალა, რომელიც ჟურნალ-გაზეთობასა ჰხმარდება, 39 მილლ. დოლლარამდე ღირს და თვით გამოცემათა ღირებულობა 180 მილლ. დოლლ. აღის.

ამერიკულს ჟურნალს „Forum“-ში საყურადღებო და მეტად საინტერესო ცნობებია მოყვანილი შეერთებულ შტატების ჟურნალ-გაზეთებში მომუშავეთა მატერიალურ მდგომარეობის შესახებ. ამ ზემოხსენებულ ჟურნალისტთა მდგომარეობა, მას შემდეგ, რაც ბეჭვდითი საქმე განვითარდა და სხვა-და-სხვა გამოცემათა რიცხვი თან-და-თან გამრავლდა, შესამჩნევად გაუმჯობესდა და ამ ბოლო დროს ხომ ჟურნალისტობა ერთი სასარგებლო ხელობათაგანია. მოვიყვანთ მაგალითად ზოგი-ერთს ამბებს ნიუ ორკის ჟურნალისტთა შესახებ. ნიუ-ორკის უმთავრეს გაზეთების რედაქტორებს უფრო მეტი შემოსავალი აქვთ 10-დგან 12 ათას დოლლ., ესე იგი 20-დგან 24 ათას მან., ვიდრე ამერიკის მინისტრებს. ერთი ამერიკელი რედაქტორი 50,000 დოლლ. იღებს წელიწადში, ე. ი. იმაზედ მეტს, რასაც შეერთებულ შტატების პრეზიდენტი. განყოფილებათა რედაქტორები უკეთესად ჯილდოვდებიან, ვიდრე სენატორნი: კვირაში თითოეული მათგანი 100 სა და 150 დოლლ. იღებს, ე. ი. 10-დგან 15 ათასამდე მანეთს წელიწადში. დანარჩენნი თანამშრომელნი 50-დგან—75 დოლლ. იღებენ კვირაში, ესე იგი 5-დგან 6 ათასს მანეთს წელიწადში. ამერიკელის ჟურნალისტის შრომა, როგორც ამ ამბების წიგნის შემდგენელი ამბობს, უფრო მეტად ფასობს, ვიდრე შრომა რომელიმე საშუალო ვექილისა და ექიმისა, უფრო მეტად, ვიდრე სახელმწიფო სამსახური და სხვა რამ ხელობა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორც მკითხველს ეხსომება, ამას წინად ქალაქის გამგეობასა და სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელთა შორის უთანხმოება მოხდა შესახებ ქალაქის სასწავლებლებისა. განსვენებულს იზმაილოვს აზრად ჰქონდა, სხვათა შორის, პეტერბურგში ყოფნის დროს საქმე ისე მოეგვარებინა უმაღლესს მთავრობის წინაშე, რომ სკოლების ბედ-იღბალი ქალაქის ინტერესების მოთხოვნილებისამებრ გადაწყვეტილიყო. მაგრამ ამ უკანასკნელის განზრახვას ბევრი წინააღმდეგი აღმოუჩნდა, როგორც აქ ჩვენში, ისე პეტერბურგშიაც და მათ შორის, რაღა თქმა უნდა, გაზეთი «ნოვ. ვრ.». ამ გაზეთს ერთი წერილი მიჰსვლია ტფილისიდგან, სადაც აქაურის სკოლების ვითარება ასეა დახატული:

„ტფილისიდგან ერთი წერილი მივიღეთ, რომელიც კვლავ ამტკიცებს, რომ იქაურ ქალაქის სასწავლებლებში სწავლა რუსულის ენის შემწეობით არ სწარმოებს; სახელმწიფო ენას, ამ სასწავლებლებში თურმე უკანასკნელი ადგილი აქვს დათმობილი. ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ ამ საგანზედ სჯა 1884 წელს აღიძრა და მხოლოდ 1893 წელს—თითქმის ათის წლის შემდეგ—გამოვიდა უმართებულესის სენატის უკაზი, რომლითაც საქალაქო სასწავლებლები საზოგადო სასწავლებლებად ჩაირიცხნენ (განა სხვაფრივ გარდაწყვეტა-კი შესაძლო იყო?!.),—თუმცა უკვედი ეს ასე მოხდა, მაგრამ ტფილისის ქალაქის გამგეობა კვლავ ჯიუტობს და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბრძანებას არ ასრულებს და იმასაც-კი სჩადის, რომ ამ მასწავლებლებს ითხოვს სამსახურიდგან, რომელნიც სამოსწავლო მმართველობის განკარგულებას ასრულებენ. როგორ მოგწონთ? მაშინ როდესაც დასავლეთ პროვინციებში მეფეთ და ბუნდოვნად კავკასიის მცხოვრებლების გარუსებასა, ტფილისში არამც თუ სამოსწავლო ოლქის განკარგულებას არ ასრულებენ, თვით სენატის ბრძანებასაც-კი არ აქცევენ ყურადღებას და ბრძანების შესახებ სჯასაც-კი ჰბედავს გუბერნიის საქალაქო დაწესებულება! წარმოიდგინეთ ახლა მდგომარეობა იქაურის სამოსწავლო მმართველობისა რომელსაც, თუმცა, სენატის ბრძანება უდგია გვერდში, მაგრამ მაინც ვერ აკრეხებს რუსულის ენის სწავლა შესაფერს დონეზედ დაყენოს; სომხების გაიძვერაობამ ის მოახდინა, რომ უკუაგდო ის კანონი, რომლის მნიშვნელობა ყველასათვის ცხადი არის; უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ პეტერბურგიდგან გაიგზავნება ისეთი დარიგება, რომელიც ბოლოს მოუღებს ამ, მეტი რომ არა ვსთქვათ, უცნაურს კინკლაობას კავკასიის სამოსწავლო ოლქისა და ტფილისის ქალაქის გამგეობის შორის ადმრულსა.“

როგორც მკითხველი ჰხედავს, გაზეთში მოყვანილი ამბები თავიდგან ბოლომდე მლიქვნელი სიცრუე არის. გაზეთი სცდილობს ჩააგონოს პეტერბურგის უმაღლესს მთავრობას, რომ კავკასიის სამოსწავლო მზრუნველი ვითომ ერთობ დაუჩაგრავს კავკასიელებსა. მაგრამ ვინ არის დაჩაგრული და ვინ არა, ეს ჩვენ, ადგილობრივ მცხოვრებლებს, უფრო გვეცოდინება, ვიდრე პეტერბურგელს გაზეთს, რომელიც ყოველს შემთხვევაში ხელმძღვანელობს წინად განზრახულის ვითომ და პატრიოტულის მოსაზრებით!

ან ეს მუქარა რაღა ღვთის რისხვა არის: «პეტერბურგიდგან დარიგება უნდა გაიგზავნოსო». გაზეთმა უნდა იცოდეს, რომ ეს «დარიგება» არავის შეაშინებს, არ შეაშინებს იმიტომ, რომ აქ ერთი ხანია, რაც დარწმუნდნენ, რომ ხან-და ხან პეტერბურგიდგან მოსული განკარგულება უფრო სამართლიანია.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ვაშინგტონის (ამერიკაში) სენატში შეტანილია წინადადება, ასი ათასი დოლლარი დაინიშნოს პრემიად და მიეცეს მას, ვინც 1900 წლამდის მოამზადებს იმისთანა ჰაეროსტატს, რომლითაც შესაძლებელი იქნება არამც თუ ხალხის გადაყვან გადმოყვანა, არამედ საქონლისაც. ჰაეროს ტატი საათში 50 კილომეტრის სისწრაფით უნდა მიდიოდეს.

---

მღვრელს მუშას!..

ჩემი მეორე საცეცხლ-ნავთე ქმარი-კი იგეთი უგონო ბანჯღვლიანი დათვი და მუშაობაზედ გულ-აცრუებული სახედარი იყო ის ალრინებულ აკატებული, რო პურიჭამაზედაც არავინა შეელიაობდა სოფელში. ტანზედ ნაცვამი ახალოხიც რო გაგუძრო და წაგერთვა, ვერ გეტყოდა: რად მართმევ, რას მემართლებიო, და უფასო თვალ-მარგალიტიც რო ეპოვნა, იმის აღების შნოც არა ქონდა, იგეთი უსამდომო უნდილის და ოროტოტლე ბეჩავი რამ იყო, ი, წინწალ-გამქრალი შვილი. სუ კერიძირას ეკუნტა ფეხ-მოტეხილ მაჯლაჯუნასავით, ყველი-პარია კატასავით აზიმზიმებდა და აცეცებდა აქათ-იქით ი დასათხრელ ჰყვიტა-ბრიცა თვალებს და დახუწუწებული კუჭი-შიმშილს ამყრალებული ყალიონის ბოლით იკლავდა. უი, ამოვარდეს იმისი სამარცხვინო ხელთ-უყარი თავი, გაქრეს იმისი შამქნელი უჯიშო მამალი და გამომჩეკავი კრუხი!.. იქნებოდა, იქნებოდა და მალ-მალ-კი მე ტყოდა-ყე მეპატე რუსივით: მოდი, დედაკაცო, ერთი კეკემალულობა ვითამაშოთო. ი, მეხი და მედგარი-კი ჩაგათხლიშე მა ვაგლახ თავში, შე ლოპრიანო ლოფორჩქინავ-მეთქი, მივახლიდი-ყე გულ-აკორკოტებული. იგეთი უწმაწური ვირეშმაკა ლაპარაკი იცოდა სიყვარულზე ი, ჯოჯოხეთის სანაყელმა და თითო იგეთ წაპილწულსა და წამურტლულ სიტყვებს წამაჰროშავდა-ყე დედაკაცბზედ, რო გული თოფი-წამალივით აგიფეთქდებოდა და ამრეზილი ძაღლივით აგიღრინდებოდა საკბენათ, რადგან ჩხირის გადაბრუნების უნარიც არა ჰქონდა და მარტო უწმაწური სიტყვის გუდა იყო და ძაღლივით ავ-ხორცი; მაგრამ რაჰ დაჰდევთ, იმთენი უფაჩუნე ი წილ-მატლიან თავში, მინამ ბანჯღლიანი დათვი მერცხლათ არ ვაქციე და სიზარმაცის კუტი-მონა ქვეყანაში არ გავრიყე მუშაობით.

ჩემი მესამე ქმარი ხო კუდით სათრევ ვირზედაც გაზანტებული ვირი იყო. ოოოხ!.. დაიქცეს ის დღე და საათი, რა დღე-საათსაც მე ის აყლაყუდა ვირაქლემა ქმრათ გავიხადე ჩემ საბოროტოდ. დიდი მორგვისოდენა გოგრა ება უზარმაზარ ოტროკელა ტანზე და ჰკვის ბადლად სულ ბზითა ჰქონდა გამოტენილი იმ პირბნელს. თქვენ რო იმისი ცხვირი დაგენახათ—შიშის ელდა გეცემოდათ და გული გაგისქდებოდათ: იმოდენა ჰქონდა იმ საპირსისხლეს ვეებართელა კომბოსტოს რიკვს უგვანდა, და თანაც იგრე ვაგლახათ დაწითლებულ-დაღუდუდებული, იტყვი ჰინჰარით დაუშუშხამთო. უი, ქრისტემ ამოაგდოს იმისი უტვინო მავნე თავი, მით ჰიანი ბოლოკივით ამოაგდებენ მესაფლავეები იმი ცარიელ კენჩხასა‹‹, წერაქვებით დაჩეხილს. იმითან იმითანა უმართებულო დოლრიალა და გულ-შხამიანი პირღრენია იყო ის ასაკატებელ-ასაძაღლებელი, რო გონია ეხლაც კი ჯოჯოხეთში სუ გულბრაზიანი ბალყუმი ძაღლივით ღრინავს და ჰყეფავს. ვინ იცის, იქნება ჯოჯოხეთის ეშმაკებს: არ გვიკბინოსო. უი, ალრინდეს, ალრინდეს იმის წაწყმენდილი ჯოჯოხეთის ბოროტი სული! იგეთი ადამიანის შაუბრალებელ-შაუცოდებელი და მოღალატე-დაუნდობელი რამ იყო რო აბა, იგეთი დღე როგ-ორ წავიდოდა, ვირის ბაგაში არ დაემწყვდივანთ მოხელეებს რა ქურდობისათვინ თუ ავაზაკობისათვინ. უი, ტა-ტა-ტა! იმი ცალი დედამიწა ჩასახეთქი, ლორ-მუცელა, ჭამაში ჩქარი და საქმეში მკვდარი ხო არ შაიძლებოდა და ღმერთს არ გაეჩინა იმითანა თვალ გულ გაუძლარი მგელი. სადმე ქირში ან ლხინში წურიკა ძაღლივით გაიქცეოდა და დაუპატიჟებლივ და იგრე ჩაიხრჩობოდა-ყე თვალ-ჰყეტია ბაყაყივით საჭმელ-სასმელში ი, სულ-აღრინებული, რომ სახლში მოვიდოდა, მკვდარივით მიგდებულს ძალზე გატიტაყულ გრუზა ლორივით გაჰქონდა ერთი ნაღვლის-სასიებელი: „ვუჰ!.. ვუჰ!..“ ვუჰ შენ და ღვთისა და ბატონის ქარცეცხლი, რისხვა და სიკვდილი შეაგეთ-იგეთო მეთქი, დავჰყვლებდი-ყე მოთმინებიდამ გამოსული, ჩავზელამდი წიხლებს გაბრაზებული და ორ-სამ კოკა წყალს ზედ გადავათქვრიდი ავმუცლობისაგან მიმკვდარებულ მოსაბრუნებლად. ხან საიდამმე, ლხინიდამ თუ ქირიდამ ერთად მომავალს სიცხისაგან გალექილი კამეჩივით შუ-გზაში წამექცევოდა ყე, და მე კი, უი ტა-ტა ტა!.. სირცხვილის ოფლში ვიწურებოდი ყამლელ გამომვლელისაგან, ის-კი მითომ აქ არა ამბავიაო, იგრე უსირცხვილოთ შფოთავდა და ტრუხუნებდა ღორივით მიწაზე ფოროთხალით; მე კი გული ყელში მეჩრებოდა და იგეთ სისხლზედ მოვდიოდი, ქვეყნისაგან რო არა მცხვენებოდა, იქვე წიხლით ჩავრეგვამდი მეხივით დაჰქდილი ბაშმაკებით იმ მუცელჩასახეთქ ვირაქლემას. ეჰ, რომელი ერთი იმისი სივაგლახე ჩამოგითვალოთ, თავით-ფეხებამდინ მურდალი ვირთაგვა და მოწანახედე ძაღლი იყო ი სულ-კატიანი, მაგრამ, მოგეცათ ღვთის წყალობა, მე იმას ლაყე კვერცხივით გამოუჩქიფე ი, გასახმობი ფუტურო გოგრა მეტი ჩ ჩინით და უტვინო თავ-დასიებული ვირი ადამიანად ვაქციე ბოლოს როგორც იყო. აი რა შეუძლიან დედაკაცს და რა [illegible] ქვეყნის [illegible] ხეს ქვეყანაზე, მაგრამ საკაცე შესაკრავ კაცებს რო გკითხოთ კი, მაშინვე ამ ჰ წამოიძახებთ: დედაკაცს ჰკვა ჯორის კუდივით მოკლეაო, დედაკაცები მარტო ერთი საქმისათვინ არიან გაჩენილები და იმათ სხვა არა გამოუვათრა გონება ხელიდამო. ი, ჩაიტიტოს, ჩაიტიტოს თქვენი ჰკვა, ნაკოული გოგრა, რო თავი რალაცა გონიათ და ისიც-კი ვერ გაგიგიათ, როცა ვირი კაცათ იქცევა ხოლმე და კაცი ვირათ, ორთავის ასბაბი დედაკაცია!..

დ. მაჩხანელი.

### წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის საშუალებით დიდს მადლობას ვსწირავ ბატონს ბათუმის სკოლის მასწავლებელს მიხეილ შარაშიძეს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ სკოლის მოწაფეებს, ქართველ მაჰმადიანთა შვილებს ხუთი მანეთი ფული შემოსწირა.

ქექუთის სამრევლო სკოლის მასწავლებელი რაჟდენ კონტრიძე.

1895წ. 11 მარტი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 მარტი.

**პეტერბურგი.** 1894 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ კეთილ ინება და შესწირა ქალაქ ხაბაროვსკს საჯარო წიგნთ-საცავის დასაარსებლად 636 ცალი წიგნი თავის საკუთარ წიგნთ-საცავიდგან. ამ კეთილს განზრახვას წაჰბაძეს სხვა-და-სხვა დაწესებულებამ და ბევრმა სხვამ, ასე რომ დღემდის 11 ათასზედ მეტი წიგნი შეუწირავთ. უქვეშევრდომილესს მოხსენებას ამის შესახებ ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი წააწერა: „მოხარული ვარ ამ გულუხვის შეწირულებისა ხაბაროვსკის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ“. მასთანავე იმპერატორმა ბრძანა, რომ ამიერიდგან შემოწირული წიგნები მოხმარდეს სხვა ქალაქებს წიგნთ-საცავების დაარსებისათვის.

13 მარტი.

**ლონდონი.** ჩინეთიდგან დეპეშით იუწყებიან: იაპონელებმა დაიპყრეს კუნძული პაოგოა.

14 მარტი.

**პეტერბურგი.** მეშვიდე კორპუსის სარდალი იანოვსკი დაინიშნა ვილნის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწედ.

მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი დუხონინი დაინიშნა მეოთხე კორპუსის სარდლად.

გამოცხადდა კანონი, რომ უნდა შედგეს ყარსის ბრიგადის მესაზღვრე ჯარი და ზოგიერთი კავკასიის ბრიგადების ჯარს მეომართა რიცხვი მიემატოს.

**ლონდონი.** იოკაჰამიდგან იუწყებიან: ლი-ხუნგ-ჩანგს სამს სანტიმეტრზედ აქვს გაჩერებული ტყვია მარცხენა თვალის ქვევით. ტყვიის ამოღებისა უარი განაცხადა. იაპონიის იმპერატორმა გაგზავნა ორი ექიმი, იმპერატრიცამ ორი მომვლელი ქალი.

პეტერბურგისბირჟა, 17 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,48 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | 214 „ | — „ | |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | 101⅝ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | — „ | 101 |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | — „ | 99½ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101¾ | — „ | — , |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | — „ | 99½ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 99¼ |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ფ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ-სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი **მ. ტურბოვიჩი.** ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

**ცნობილ ფაბრიკების**



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

**კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა, ბ. მ. მირიმანიანისა,**

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—1819—8)

გაიხსნა **ახალი** წიგნის მაღაზია ქ. ტფილისში, მიხეილის ქუჩა, № 97. ისყიდება ყოველგვარი. საყმაწვილო და სახალხო წიგნები რუსულს ენაზედ („პოსრედნიკისა“ და სხვ.) წიგნების ფასი—ორი კაპეიკიდგან. მაღაზია კისრულობს იაფ-ფასიან ბიბლიოთეკების შედგენას (არის ერთ მანაფიანიც). გამოწერა შეიძლება ფასდებული ამანათითაც (наложеннымъ платежемъ). უ.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში,

## საქართველოს ისტორია

შემუშავებული და შევსებული მოსე ი. ჯანაშვილის მიერ. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა ფასი 70 კაპ.

## ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს.. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიაში . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 60 |

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

## დამზღვევი საზოგადოება „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემების ნავთ-სადგურებზედ.

50—6—14

## დამზღვევი საზოგადოება „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებული იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელლოვისა, თეოდორე ალესანდრეს ძის ივანოვის სადგომში.

(100—721—›)


Дозвено цензурою, Тифлисъ 15-го Марта 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე